645
1977/4
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1977 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს



ოქტომბრის გზით სამოცი წლის განვითარების მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ჩვენი ძალა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობაა. ეს არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავების, ყველა ჩვენი გამარჯვების წყარო.

**ლ. ი. ბრეჟნევი**

სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა. მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии

# 1917—1977 გილოცავთ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს



ეროვნული ბიბლიოთეკა

15803

## რუსეთის მოქალაქეებისადმი

დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა. კომიტეტი სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!

**პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.**

1917 წლის 25 ოქტომბერი.

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევი სტურუა

# ოქტომბრის ნათელი

ვისაც არ ჰქონდა ბედნიერება პირადად ენახა პარიზის ლუვრში გამოფენილი ეჟენ დელაკრუას განთქმული ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“, იმანაც კი მრავალრიცხოვანი რეპროდუქციების წყალობით ზედმიწევნით კარგად იცის ფრანგი რომანტიკოსი მხატვრის ამ შედევრის უჭკნობი ძალა.

რევოლუციის სიმბოლოდ მხატვარმა წარმოგვიდგინა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ცალ ხელში დროშა, ხოლო მეორეში თოფი უჭირავს. ხანძრით განათებული მისი სახე და მთელი ფიგურა გამოხატავს უდიდეს შემართებას, თავგანწირვას, გასაოცარ სულიერ სიწმინდესა და კდემამოსილებას. წარსულის შემოქმედმა ამ დახვეწილი სიმბოლიკით იქნება ის გვითხრა, რომ რევოლუციამ შექმნა სულიერი, ზნეობრივი სრულყოფის ახალი, უმაღლესი ფორმები.

მართლაც, ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის გაჩაღებულმა მრავალსაუკუნოვანმა კლასობრივმა ბრძოლებმა და განსაკუთრებით, ამ ბრძოლების დამაგვირგვინებელმა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მაქსიმალურად გამოავლინეს ადამიანის ბუნებაში მთვლემარე საუკეთესო მორალური თვისებები. დიდმა ლენინმა და მის მიერ აღზრდილმა და გამობრძმედილმა რევოლუციონერ-ბოლშევიკთა კოჰორტამ უმაღლესი ზნეობრივი პრეცედენტები შექმნეს, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში.

სამოცი წელიწადი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წელთა აღრიცხვაში მხოლოდ საწყისი პერიოდია, მაგრამ რა გასაოცარი და ფანტასტიკურია კომუნიზმის ეს პროლოგი ჩვენს ქვეყანაში!

გული უდიდესი სიამაყის გრძნობით გევსება, როცა კითხულობ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებას ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესახებ, სადაც ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი შრომისა და გამარჯვებების გმირული გზა. სასიხარულოა ისიც, რომ ამ გამარჯვებათა მატიანეში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა. მაგონდება ამასწინათ ჩატარებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეჩაიეების მორიგ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილ მილოცვას „მწვანე ოქროს“ ოსტატების მიმართ, რომელთაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 400 ათასზე მეტი ტონა ჩაის ფოთოლი. კრების პრეზიდიუმში ისხდნენ ჩვენი კოლმეურნე ქალები, ჩაის ლეგენდარული მკრეფავები, განათებულნი საოცარი შინაგანი შუქით, ლამაზნი, შთაგონებულნი. განთავისუფლებულმა შემოქმედებითმა შრომამ საბჭოთა ადამიანს ჭეშმარიტი ბედნიერების სრული უფლება მოუპოვა და ეს უფლება სხვა უფლებებთან ერთად ჩვენში ხორციელდება.

ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, განსაკუთრებით ოკეანესგაღმელმა, ანტისაბჭოელებმა, გააფთრებული წკავწკავი ატეხეს იმის გამო, რომ თითქოსდა საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, თურმე ნუ იტყვით, უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი პრეზიდენტი, წარსულის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ლინკოლნი ბრძნულად ურჩევდა თავის კოლეგებს: „ვიდრე სხვას ვასწავლიდეთ რაიმეს, მოდით, ჯერ ჩვენ თვითონ ვისწავლოთო“. ეს სიტყვები დღეს განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს. მართლაც, როგორ ბედავენ ადამიანები, რომელთა სინდისზეა სალვადორ ალიენდეს, მარტინ ლუთერ კინგისა და ათასობით სხვა პატრიოტისა და ჰუმანისტის სისხლი, ასწავლონ ვინმეს, თუ როგორ უნდა იყოს დაცული პიროვნების თავისუფლება. ტყუილად ცდილობენ იმპერიალისტები და მათი დაქირავებული ლაქიები, ეგრეთწოდებული „დისიდენტები“, მიაღწიონ ჩვენს ქვეყანაში ანტისაბჭოური პროპაგანდისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის ლეგალიზაციას. ჩვენმა საერთო-სახალხო სახელმწიფომ პროლეტარიატის დიქტატურისაგან დაიმკვიდრა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა საერთაშორისო რეაქციის ხელყოფისაგან. ჩვენ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით სამოცი წლის მანძილზე პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს, ყველაფერს იმას, რასაც საბჭოური, სოციალისტური ჰქვია; ეს საბჭოთა ადამიანების უპირველესი მოვალეობაა.

ოქტომბრის ნათელმა საქართველოს, მის მრავალტანჯულ ხალხს ჭეშმარიტი ბედნიერება მოუტანა. ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ამ წლების მანძილზე ქართული ეროვნული ინსტიტუტების სწრაფი ზრდა-განვითარება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფს მოწმობს. ამას თვით ჩვენი არაკეთილისმოსურნენიც აღიარებენ, იმდენად თვალნათელი და ხელშესახებია ის გრანდიოზული ძვრები, რაც ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მოხდა. დღევანდელი რეალობა, რაც ჩვენს ცნობიერებაში ყოფითი მოვლენის დონეს არ სცილდება, ცხრაასიანი წლების დამდეგის რომელიც გნებავთ ქართველს დაუჯერებელ ზღაპრად მოეჩვენებოდა. თვით დიდი ილიაც ხომ მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, ნეტავ საქართველოს რამდენიმე ათეული ინჟინერი და აგრონომი ჰყავდესო.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ჭეშმარიტად საეტაპო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული მრავალი სერიოზული ნაკლოვანება.

საქართველოს კომპარტიის განახლებულმა ხელმძღვანელობამ, რომლის გარშემო მჭიდროდ დაირაზმნენ კომუნისტები და ყველა პატიოსანი მშრომელი, დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ხორცშესხმისათვის. ამ მუშაობის ქვაკუთხედია თანმიმდევრული და უკომპრომისო ბრძოლა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ჩირქს სცხებდა ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟს.

საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო. მოპოვებულია დიდი გამარჯვებები რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, დაძლეულია მეცხრე ხუთწლედის პირველი წლების ჩამორჩენა, წარმატებით შესრულდა მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებები. სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველო ოთხჯერ ზედიზედ (1973, 1974, 1975 და 1976 წლებში) დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სოციალიზმის ანტიპოდების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის შედეგად რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო გამეფდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ. რესპუბლიკის მრეწველობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1977 წლის საწარმოო დავალებები. გამოშვებულია მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მუშათა კლასს არც საკოლმეურნეო გლეხობა ჩამორჩა. როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს მეჩაიეებმა დიდი და მნიშვნელოვანი მიჯნა გადალახეს — მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 405 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილი მისალმება დაიმსახურეს. მეჩაიეებს არც მევენახეები ჩამორჩნენ. სახელოვნად იშრომეს მემინდვრეებმა, მებაღეებმა, მებოსტნეებმა, მეციტრუსეებმა, მეცხოველეებმა, მეთამბაქოეებმა, მეაბრეშუმეებმა...

ყველა ამ გამარჯვებაში განუზომლად დიდია ჩვენი სახელოვანი ქალების როლი. არ ივიწყებენ რა მეუღლისა და აღმზრდელი დედის დიად მისიას, საბჭოთა საქართველოს ქალები მხარში უდგანან თავიანთ ქმრებს, ძმებს, შვილებს და ხშირად მაგალითსაც აძლევენ მამაკაცებს შემართებულ, შემოქმედებითს შრომაში. საშუალება არ არის ამ მოკლე წერილში ჩვენი მოწინავე ქალების სახელების თუნდაც ჩამოთვლისაც კი, ვინაიდან ისინი ძალზე ბევრნი არიან.

კომუნისტებს, საბჭოთა ადამიანებს მრავალთა შორის ერთი დიდებული, ლენინური ტრადიცია აქვთ — თვით საზეიმო, საიუბილეო დღეებში ყურადღება გაამახვილონ ჯერ კიდევ გადაუწყვეტ ამოცანებზე, ჩვენს ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. საქართველოს კომპარტიას, ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს კარგად აქვთ შეგნებული, რომ გასაკეთებელი კიდევ ძალზე ბევრია. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული უდიდესი მიღწევები, აღიარებული და მოწონებულია ის პრინციპული ძვრები, რაც მოხდა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამასთან ერთად დადგენილებაში საქართველოს კომუნისტების წინაშე დასმულია მრავალი საბრძოლო ამოცანა, რომელთაგანაც უმთავრესია რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარება, იმ მდგომარეობის საბოლოო ლიკვიდაცია, რაც საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან მრავალწლიანი ჩამორჩენით გამოიხატა. ამ ამოცანის შესასრულებლად დიდი შრომითი გმირობა, ძალების მაქსიმალური დაძაბვაა საჭირო.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალები, ისევე როგორც წინა წლებში, პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში ასახელებენ თავიანთ სამშობლოს, ყოველთვის იქნებიან კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს. იგი შედეგია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების, უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებისა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღნიშვნის ამოცანა ის არის, რომ ამ საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმმა ხორცი შეისხას ახალი შრომითი გამარჯვებებით, რომ ეს აღმავლობა კონკრეტული საქმეებით, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებით, ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი სრულყოფით გამოიხატოს. ეს ასეც იქნება. ამის საწინდარია საქართველოს კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — დაუღალავი მეცადინეობა პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულობათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

# ჯონ რიდი

დილაადრიან სმოლნში წავედი. გარეჭიშკრიდან ხის გრძელ ხიდებზე გადასვლისას შევნიშნე, რომ უფერულ, ყუჩ ჰაერში პირველი ფიფქები ფოფინებდნენ. „თოვლი!! — მხიარული ღიმილით შეჰყვირა კარებთან მდგარმა გუშაგმა. — კარგია!“

შიდა, პირქუში დერეფნები და ცივი დარბაზები, თითქოს გამოცარიელებულიყო. ვეება შენობაც ჩამკვდარი მეჩვენა. და უცებ, ჩემამდე რაღაც უცნაურმა, ყრუ ხმებმა მოაღწია. მივიხედ-მოვიხედე, კედლების გასწვრივ, იატაკზე ადამიანებს ეძინათ. აბურძგვნილი, დაუბანელი ადამიანები — მუშები და ჯარისკაცები, ტალახში ამოსვრილნი, ცალცალკე, თუ ჯგუფურად, გულგრილ, ღრმა ძილს მისცემოდნენ. ბევრს გასისხლიანებული სახვევები ეკეთა. იქვე, გვერდით, თოფები და პატრონტაჟები ეყარა...

ზევით, ბუფეტშიც იმდენს ეძინა, რომ კაცი ძლივს გაიკვლევდა გზას. ჰაერი უჩვეულოდ დახუთულიყო. დახლზე ცივი, დაჭყლეტილი სამოვარი იდგა, გარშემო აუარებელი, გაურეცხავი ჭიქები ეწყო. აქვე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ბოლო ბიულეტენი იდო, უკუღმა მხარეზე გაუწაფავი ხელით აჭრელებული. რომელიღაც ჯარისკაცმა დაწერა ეს სიტყვები, როგორც სახსოვარი იმ ამხანაგებისა, კერენსკის წინააღმდეგ ბრძოლისას რომ დაიღუპნენ. იგი იქვე, იატაკზე დაცემამდე წერდა. ქაღალდი ალაგ-ალაგ სველი იყო რაღაცით, ცრემლის მაგვარით...

ალექსეი ვინოგრადოვი, დ. მოსკვინი, ს. ტოლბიკოვი ა. ვოსკრესენსკი, დ. ლეონსკი, დ. პრეობრაჟენსკი, ვ. ლაიდანსკი, მ. ბერჩიკოვი.

ყველა ესენი არმიაში 1916 წლის 15 ნოემბერს წავიდნენ. მათგან სამიღა გადარჩა:

მიხეილ ბერჩიკოვი, ალექსეი ვოსკრესენსკი, დიმიტრი ლეონსკი.

* * *

იძინეთ, მებრძოლო არწივნო,
იძინეთ, იძინეთ, მშვიდად,
თქვენ თავი დიდებით გასწირეთ
და ახლა სიმშვიდე გინდათ...

(წიგნიდან: „10 დღე, რომელმაც შეძრა ქვეყნიერება“.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყუპნი არიან
პარტია და დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორნივ ერთად,
ერთგვარად შვენის.
ჩვენ ვამბობთ ლენინს,
პარტია გვყავს
წარმოდგენილი,
ვამბობთ პარტიას
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

ვლ. მაიაკოვსკი, პოემიდან „ლენინი“
თარგმ. ირ. აბაშიძისა



გალაკტიონ ტაბიძე

## გემი „დალანდი“

გამომაღვიძა ღამის ალმა, ნელმა და ქურდმა,
ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული.
ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი,
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გალვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი;
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

1918 წ.

# რუსი რევოლუციონერი ქალები



ნადეჟდა კრუპსკაია



მარია ულიანოვა



ელენა სტასოვა

იმ შესანიშნავ ქალთა შორის, ვისი სახელებიც სამუდამოდ აღიბეჭდა რევოლუციის ისტორიის მატიანეში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ რუს რევოლუციონერ ქალებს: ნადეჟდა კრუპსკაიას, მარია ულიანოვას და ელენა სტასოვას, რომლებმაც თავიანთი ნიჭი, ენერგია და მთელი სიცოცხლე მოახმარეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების დიდებულ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთერ მაზანაშვილი

# მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი

იცადა საქართველომ, დიდხანს იცადა, და აი, მოვიდა რევოლუცია!

დაინგრა ძველი წესი და ცხოვრება.

აღმოცენდა ახალი.

ხალხმა მიიღო მიწა, პური, თავისუფლება.

დაიწყო შენება.

გეზი ინდუსტრიალიზაციისაკენ — ეს იყო მთავარი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის.

ფაბრიკა-ქარხნების პირველი საძირკველი მუშებმა გათხარეს. ზოგჯერ უიარაღოდ, ხშირად უმასალოდაც, მაგრამ მაინც შენდებოდა მათი სამფლობელო.

გამართეს პირველი დაზგები, აგუგუნდა საამქროები.

მოვიდა მისი უდიდებულესობა — მუშათა კლასი.

...თბილისში ფრიალებს რევოლუციის წითელი დროშა!

სულ მალე აქ იხსნება ქალთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა. 300 აქტივისტი გოგონა სწავლობს მთავრობის ხარჯზე. ისინი იძენენ საბჭოთა მუშის ჩვევებს. ეუფლებიან ყველაზე საჭირო სპეციალობებს. მიდიან საწარმოებში და იბარებენ კაპიტალისტური ქვეყნებიდან მოსულ დაზგებსა და რუს მესაკუთრეთა დანადგარებს.

ახალ მუშას არ მოსწონს ძველი, დამტვრეული სამუშაო იარაღი. ახალი ჯერ არ დაუმზადებიათ.

მუშა იკრებს ძალას, მოთმინებას და რაღაც ხერხებით მას მაინც იყენებს.

ასეთი გრძნობით მოვიდა 1929 წელს თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში 18 წლის ეთერ მაზანაშვილი. ჭიუტობდა დაზგა, მაგრამ ეთერი მაინც ქსოვდა დღეში 7 მეტრ საკაბეს.

მასთან ერთად მოვიდნენ მისი თანამოსაქმეები ქალთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან.

აქედან დაიწყო მქსოველ ეთერ მაზანაშვილის მუშური ცხოვრება. მას თანდათან შეემატა ახალი მოვალეობები: ჩაიბარა ორი დაზგა, გახდა საქართველოს ცაკის წევრი, ფაბკომის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ფაბრიკა დიდხანს ვერ მიატოვა. უყვარდა აქ გატარებული კომკავშირული წლები, დაზგების ხმაური, მაქოს სრიალი და აბრეშუმის შარიშური.

პარიზში, მსოფლიო გამოფენაზე ახალგაზრდა საბჭოთა საქართველომ თავისი აბრეშუმი გაგზავნა და გაიმარჯვა.

მოიწონეს ეთერის ნახელავი შიფონი.

ამიტომაც ძნელი იყო ფაბრიკის მიტოვება. მაგრამ პარტიამ სხვა უბნებზე მუშაობა მოითხოვა და ეთერიც ერთგულად ემსახურა ქვეყანას, ხალხს.

საქართველოში ყველა იცნობს ეთერ მაზანაშვილს — შრომითდამშვენებულ, მკლავდამშვენებულ, სახელდამშვენებულ მანდილოსანს.

ეთერთან ერთად 30-იან წლებში იქ, იმ ახლადაგუგუნებულ საამქროებში იდგნენ მაშინ გამოცდილი მქსოველები — მარიამ შენგელია, ანიკო ლომაძე, ლუბა ადამია, ლიზა ცხომელიძე.

ზოგი მათგანი მაშინაც ქსოვდა აბრეშუმს, როცა ეს ფაბრიკა კერძო მესაკუთრის დაწესებულება იყო.

ის ძველი მუშები საბჭოთა მუშათა კლასს შეემატნენ, ქარხნების ბატონ-პატრონები გახდნენ, ახალი კადრები გამოაწრთეს, ჩაუნერგეს შრომის პრაქტიკული ჩვევები.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ისტორია მათი სახელებით იწყება. ისინი დღეს ისვენებენ, მაგრამ ფაბრიკის ცხოვრებას ვერ თმობენ, ინტერესდებიან მისი დღევანდელი დღით, მისი ახალგაზრდებით, შრომის დამკვრელებით.

დღეს ძველ ვეტერანებს ეამაყებათ, რომ სახელოვანი შემცვლელები ჰყავთ, რომლებიც 8, 16, 24 დაზგასთან პატრონობენ ქვეყნის ავლადიდებას.



ლუბა ადამია



ცირა კილასონია



მარიამ შენგელია



ანა ლომაძე



ლიზა ცხომელიძე



ცირა გაფრინდაშვილი



პარტიის ვეტერან ქალთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეების ერთი ჯგუფი: პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: მ. მახარაძე, ი. მიქაძე, თ. ჩიტიშვილი, გ. ზლობინსკაია, ა. თალაკვაძე, ა. კუკულაძე, ც. მეზურიოვა, ა. სურგულაძე; დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ტ. კაჭახიძე, მ. ქურციკიძე, თ. დოლიძე, ლ. აირაპეტიანი, ბ. იოსელიანი, ნ. მარდალეიშვილი, ა. გაზარიანი, მ. შალომიანი; შ. რუხაძე, ე. არუთინოვა, ვ. კობალაძე.

ორი ცირა — ცირა გაფრინდაშვილი და ცირა კილასონია — მუშათა კლასის ახალგაზრდა წარმომადგენლები არიან. ისინი მუშის სახელისათვის რაიონიდან ჩამოვიდნენ, აითვისეს მქსოველის პროფესია და უმაღლესი ხარისხის საკაბეებს ქსოვენ.

ცირა გაფრინდაშვილის ექვსი დაზგიდან დღეში ას ექვსი მეტრი ქსოვილი ჩამოდის. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და დიდი საპატიო საქმეებით არის დატვირთული.

ცირა კილასონია მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ქსოვილისათვის იბრძვის და შრომის დიდების ორდენის ღირსეული კავალერია.

ის იჯდა დიდ დარბაზში, სკკპ 25-ე ყრილობაზე და მას შემდეგ კიდევ უფრო დიდ მოვალეობას გრძნობს.

დრო მიდის.

თაობები იცვლებიან.

მაგრამ ყოველ ღირსეულ თაობას ღირსეული შემცვლელი ჰყავს.

სწორედ ეს არის საბჭოთა მუშის ძალა. მუშათა კლასის უძლეველობა!

ლ. ნინიძე

## მესამოცე ოქტომბერს

ოქტომბერო! შენ უკვე ხარ
სამოცი წლის ბრძენთაბრძენი,
მთელ მსოფლიოს გადაუვლის
შენი დაბადების წელი!
შენი სითბო მზის სხივივით
გვასულდგმულებს, ძალას გვმატებს,
შენ რომ მარად იყვავილო —
ერთიასად შრომა გვმართებს!
ხუთწლედების გმირი ხარ და
მტერი დასწვი, დაანაცრე,
შენ ნაჭედი ფოლადი ხარ
და ვერავინ ვერ წაგაქცევს!
ოქტომბერო! კვლავ გილოცავთ
გამარჯვებებს ახალ-ახლებს,
ლენინიზმის გამარჯვება
მთელ სამყაროს დავანახვეთ!

ეთერ მაზანაშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰე, გადახედეთ ჩვენს ქვეყანას —
რა მდიდარია,
ჩვენი კავშირი განა სხვებთან
შესადარია!

**მარიჯან**

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია —
ჩვენი მოსრვა, აბა, როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია.
ვუგალობოთ სამშობლოის მინდორ-ველს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა, ან კი, როგორ ინდომეს?

**ანა კალანდაძე**

* * *

დე, ფუტკარივით იყოს პოეტიც,
შუბად ლესავდეს მებრძოლ სტრიქონებს,
თავის ქვეყნისთვის თაფლს აგროვებდეს,
იყოს მგოსანიც და მეციხოვნეც!

**მედეა კახიძე**

* * *

არ შეირჩინო, გულო, მცირედიც
იმ სიკეთისა, მამულს რომ ართმევ,
სულ ეძიებდე,
მალულ სიმების
ნაკრძალს ეგება მიაგნო სადმე!

**მაყვალა მრევლიშვილი**

* * *

ზოგი ფიქრი ზღვა არი,
ზოგი ფიქრი ლოდია,
ზოგი გულზე მალამოდ
ზოგი ცეცხლად მედება, —
სამშობლოს სიყვარული
მარტო ტკბობა როდია.
სამშობლოს სიყვარული
არის თავგამეტება!

**მარი აბრამიშვილი**

* * *

მე რომ გდარდობ —
ისა ხარ,
მე რომ გნატრობ —
ისა ხარ...
როცა ელავ —
მზისა ხარ,
როცა ღელავ —
ზღვისა ხარ!

**ნანა გვარიშვილი**

* * *

ვარ მგალობელი დღეთა შენთა
ყველა ქმნილების,
ყველა სიმაღლის,
აზრის ყველა აღორძინების,
ყველა ტკივილიც, მშვენიერის
შენი სხეულის,
გულის ფიცარზე მაქვს აცრილი
და დამჩნეული.

**მარიკა ბარათაშვილი**

* * *

დამისხი და დამილიე სავსე თასები,
განმტკიცდეს და შემჭიდროვდეს ჩვენი დასები.
სამშობლოში მზე კაშკაშებს, განა ღამეა,
ვჭექოთ
ხმამაღალი მრავალჟამიერ!

**მარიკა მიქელაძე**

* * *

და დღეს, როცა ვხედავ, დადგა
დრო დიდების, ჩანგის ჟღერის,
საქართველოვ, ჩემზე უფრო
ვის უყვარხარ, ვინ გიმღერის?!

**ვერა შუგლაძე**

* * *

ამ ზეიმს, ცამდე ამოტანილს დროშების ალით,
ახლდეს უჩუმარ სიხარულის თბილ ტევრში დანთქმა,
ეს ლექსიც, მინდა, სულ უბრალოდ,
მადლობელ ქალის
თბილ ლოცვას ჰგავდეს,
მამულისთვის საქვეყნოდ ნათქვამს.

**დოდო ჭუმბურიძე**

* * *

მე ხეს ვერ მოვჭრი შენს ტანძლიერ გაფოთლილ ტყეში,
ჭიას ვერ ნახავ შენს მიწაზე ჩემგან გასრესილს,
გზები მიხმობენ, მომაშველე, მამულო, პეშვი,
ყველაზე ძნელი სათქმელია შენდამი ლექსი.

**იზა ორჯონიკიძე**

* * *

მამულო ჩემო, ყანავ და ნერგო,
გარდამავალო მწვანეში ზვირთო,
მომეც შეგრძნება — რა ბედი მერგო,
რომ შენი მიწის სიმწიფე ვზიდო...

**ნელი გაბრიჩიძე**

* * *

გამძლე ყოველი
ცვალებადის
დროის და ჟამის,
სხვა რამ ტაძარი
ვერსად ვპოვოთ
უმაღლეს ამის!

**თამარ ერისთავი**

* * *

იჯდა ბელადი და გრძნობდა ბგერებს
და კაცის ძალა მას აოცებდა
და ჯავშნოსანზე დგებოდა მერე,
როგორც სინდისი რევოლუციის.

**ლია სტურუა**

# ქართველი პოეტი ქალები სამშობლოს

* * *

მოძებნის მზეში უთვალავ ფერებს
და იციმციმებს ცხოველი სვეტი,
მე საქართველოს გავუწვდი ხელებს,
და არაფერი არ მინდა მეტი.

ლია ჭავჭავაძე

* * *

მაშინ სიმღერით ყელი ამევსო
და სამუდამოდ შევრჩი მზიანეთს...
გმადლობთ, სამშობლოვ, უსაყვარლესო,
იმ დიდ სიხარულს რომ მაზიარე!

ქსენია მჟავია

* * *

რევოლუცია გრძელდება მარშით,
დროშის ტარებზე ზეაღვლენილი
და როგორც მაშინ... და როგორც მაშინ,
წინ მიუძღვება დროშებს ლენინი.

რუთა ბეროძე

* * *

რომ შენი სიტყვა მთა-ბარს მოედოს,
ცხოვრების ცეცხლში ჩადექ, პოეტო,
რომ კვლავ ამაღლდეს ეს ჩვენი ზეცა,
რომ შრომის ჰიმნი ეახლოს მზესაც.

მთვარისა კერესელიძე

* * *

ახლაც გვავსებს, როგორც ოდეს...,
სამშვიდობო შრომის რწმენით:
დაყოვნება არასოდეს,
სამშობლოსთვის ყველაფერი!

ელენე დიდიმამიშვილი

* * *

რაკი შენ შვილებად გვინიშნე,
შენ — მშობელს ერთსა გთხოვთ მარტოდენ:
სიცოცხლეშიაც და სიკვდილშიაც
მამულო, მაღალნი დაგვტოვე!

ნაზი კილასონია

* * *

ყვავილში ჩამჯდარი კეკლუცობს ქალაქი,
სალექსოდ გავხსენი მკერდი,
და ამ ლექსს ყველაზე ძვირფასი დავარქვი,
რადგან შენ გიძღვენი, დედი!

ნელი თარბა

* * *

და ახლა, ვისაც უნდა, მედავოს,
და ახლა, ვისაც უნდა მეშაროს,
მოვედი შენთან, ქართვლის დედაო,
შენი დედობა ნუ მომეშალოს.

ლიდა სტვილია

* * *

თუ მტერს ლხინი არ ვაშორო,
ქალი ვაჟკაცად არ ვიქცე,
მაშ, რატომ მიხმობს სამშობლო,
მაშ, მკერდში გული რად მიცემს?!

ეთერ ჯღამაძე

* * *

სად გაზაფხული ფრთებს შლის და
სად ხარირმები ბღავიან,
რად მიყვარს ჩემი სამშობლო,
განა ეს საკითხავია?

ეთერ ჯიშკარიანი

* * *

ყოველი დილა — სულერთია წვიმით თუ თოვლით —
თენდება ფრთხილად შენდამი და ჩემდამი ნდობით.
აი სამშობლო, აი ია — ნათქვამი თრთოლვით
თბილისის დროით,
მოსკოვის დროით
და ყველა დროით!

მზია ხეთაგური.

* * *

გულში მჭირს ყველა სახმილი, რაიც ოდესმე გნთებია,
შენს მამითადში დავღლილვარ, თავი შენს მკერდზე მდებია.
დღევ, სიმღერებად მოსულო, დღევ, ლხინად გათენებულო,
შენს დღეგრძელობას ვლოცულობ, მზიურო მამულ-დედულო!

მზია ჩხეტიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღე გუშინდელი, დღე დღევანდელი

პირველი გმირები!

ჩვენი ცხოვრების, ჩვენი კომუნისტური ყოფის მოწინავე, თავდადებული მედრო-შენი. მარად დარჩებიან ისინი პირველებად. და ამ პირველებს თაყვანს სცემს, უფრთხილდება ჩვენი სამშობლო. თაობიდან თაობაში გადააქვთ მათი სახელები და საქმეები. ისინი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის გმირული ისტორიის შემოქმედნი არიან.



**ოსანა აივაზაშვილმა** საქართველოს გარიჟრაჟზე, 1921 წელს, სოფელ ქისტაურში აბელ აივაზაშვილთან წკნელით შემოღობილ ქოხში დაიდო ბინა. სხვა სამუშაოსთან ერთად აბრეშუმის ჭიის მოვლას მიჰყო ხელი. პირველად 25 გრამ მურზე 15 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მოიწია. 1928 წელს ოსანა აბრეშუმის ჭიის ინკუბაციის შესასწავლად ერთი თვით გურჯაანში მიავლინეს. იქ დაოსტატდა. წინათ თუ დღეში სამჯერ კვებავდა აბრეშუმის ჭიას, ახლა დღეღამეში ექვსჯერ, შვიდჯერ დაუწყო გამოკვება და 1938 წელს 20 გრამ მურზე 132 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს. ოსანა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა და დიდი ოქროს მედალი მიიღო. ამავე წელს ჩადგა პარტიის რიგებში. 1942 წელს შრომისმოყვარე ქალი თანასოფლელებმა ქისტაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს 1946 წელს ისევ თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. 1952 წელს 20 გრამ მურიდან 152 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი მიიღო და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. ოსანა ორჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ცამეტი გზის მონაწილეა. თვრამეტი ორდენი და მედალი ამშვენებს მის მკერდს. მათ შორის სამი ოქროს მედალია. 1974 წელს ოსანა აივაზაშვილს სოფელმა იუბილე გადაუხადა, დაბადებიდან სამოცდაათი წელი სიყვარულით მიულოცა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი გადასცა.

კარგა ხანია ოსანა პენსიაზე გავიდა, მაგრამ გული კვლავ ახალგაზრდული ცეცხლით აქვს სავსე. 1977 წელს 73 წლის ქალმა 14 გრამ აბრეშუმის მურს მოუარა და გეგმით გათვალისწინებული 32 კილოგრამი პარკის ნაცვლად 75 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს...



1941 წელს, როცა ჩვენს ქვეყანას უჭირდა, როცა ვაჟკაცები სამშობლოს იცავდნენ, ქალთა შორის პირველმა **ელენე ნატროშვილმა** გაავლო ხნული შირაქის მიწაზე. დღედაღამ გუგუნებდა ტრაქტორი ტიბაანის მინდვრებში, ალაზნის ველზე, ნატბევში, ნაზარლებში და დღედაღამის განმავლობაში ოხშივარავარდნილი შავი ხნულები ხნულებზე წვებოდა. პარტიამ და ხელისუფლებამ დააფასა ელენეს შრომა. 1946 წელს სახელოვანი ტრაქტორისტი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ამავე წელს ელენე კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგა. მადლიერმა ხალხმა იგი სამჯერ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1953 წელს ელენე ნატროშვილს რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორის წოდება მიენიჭა. 1961 წელს ელენემ უკანასკნელი ხნული გაატარა და თავისი რკინის მეგობარი ახალგაზრდებს გადაულოცა. 1971 წელს ელენე ნატროშვილი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს. 1977 წელს „საქართველოს გუთნის დედას“ სიღნაღის მშრომელებმა 70 წლის იუბილე დიდი ზეიმით გადაუხადეს...



მარჯვენას უქებდნენ კასპის რაიონის სოფელ გომის კოლმეურნეობის პირველ მერცხალს **სოფიო მარიდაშვილს.** 1939 წელს სოფიომ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. იქ გამოჩენილ მეჭარხლეს მარია დემჩენკოს შეხვდა და მისი მდიდარი გამოცდილება გაიზიარა. 1943 წელს სოფიო კოლმეურნეობის ბრიგადირად დააწინაურეს. 1945-1946 წლებში მან ახალი ნოვატორული ხერხით ისეთი უმაგალითო რეკორდი დაამყარა, რომ ქართველი მეჭარხლე მთელმა საბჭოთა კავშირმა გაიცნო. პარტიამ და მთავრობამ სოფიოს სოციალისტური შრომის გმირობა მიანიჭა. 1951 წელს იგი თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1954 წელს კი—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. მერე სოფიო ისევ მეჭარხლეობას დაუბრუნდა. 1964 წელს მან ჰექტარზე ათას ორას ოცი ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა. სასახელო ქალი ორჯერ იქნა არჩეული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. შრომაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინ არ იცნობდა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს **ქიონია სარსანიას**. ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნე ქალმა, პირველი ჩაის კულტურის თესლი თვითონ მიაბარა ინგირის მიწას და იმ დღიდან საოცრად შეიყვარა ჩაის ბუჩქები. ბუჩქებმაც თითქოს ნდობით გაუხსნეს გული. 1940 წელს ქიონიამ ჰექტარზე თერთმეტი ტონა ჩაი მოკრიფა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა, 1949 წელს ჩაის ბუჩქების დამუშავების ახალი მეთოდის დანერგვისათვის და სარეკორდო მოსავლის მოყვანისათვის ქიონია სარსანიას უმაღლესი ჯილდო, სოციალისტური შრომის გმირობა მიულოცეს თანასოფლელებმა. სახელოვანი მეჩაიე არჩეული იყო სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ქიონია სარსანიას მკერდს ამშვენებდა ლენინის 4 ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 18 მედალი.

## ესტაფეტა ახალგაზრდებს გადაულოცეს

1976 წლის დასაწყისში საქართველოს პროფსაბჭომ და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციამ დააწესეს ოსანა აივაზაშვილის, ელენე ნატროშვილის, სოფიო მარიდაშვილის და ქიონია სარსანიას სახელობის პრიზები პროფესიაში საუკეთესოს სახელის მოსაპოვებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის.

დღეს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში იბრძვიან ამ პრიზებისათვის.



19 წლის **იზა შლაპაშვილმა** პირველი შრომითი ნათლობა კომკავშირულ ბრიგადაში მიიღო. ქალიშვილი სკოლის მერხიდან მოვიდა ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. იგი იბრძვის ოსანა აივაზაშვილის პრიზისათვის. გასულ წელს 10 გრამი ჭიის მურიდან 50 კილოგრამზე მეტი აბრეშუმის პარკი მოიწია. მიმდინარე საიუბილეო წელს იზამ ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა და 45 გრამი ჭიის მურიდან 96 კილოგრამი პარკის ნაცვლად 133 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.



ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს **ტასიკო ნახუცრიშვილს** ოსანა აივაზაშვილის პრიზისათვის სოცშეჯიბრში კომკავშირელები ჰყავს გამოწვეული. თვითონ ტასიკომ წლეულს 20 გრამი მურიდან 46 კილოგრამის ნაცვლად 85 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი მოიწია.



ელენე ნატროშვილის პრიზისათვის დღეს 22 წლის გოგონა **ელზა გოგოლაშვილი** იბრძვის. 1976 წელს კომკავშირის საგზურით ტრაქტორისტად მოვიდა იგი სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობაში. შარშან 217 ჰექტარ ვენახს ჩაუტარა კულტივაცია და შეწამლვა. 800 კილოგრამი საწვავის ეკონომია მისცა სახელმწიფოს. წლეულს კი 207 ჰექტარის ნაცვლად 240 ჰექტარი ვენახი შეწამლა და კულტივაცია ჩაუტარა...



სოფიო მარიდაშვილის პრიზს კარგა ხანია ფლობს კასპის რაიონის სოფელ ყარალაჯის კოლმეურნე **ლილი ცომაშვილი**. 1976 წელს 0,65 ჰექტარზე 22 ტონა შაქრის ჭარხლის ნაცვლად 81 ტონა მოიწია, ხოლო 1977 საიუბილეო წელს 0,45 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 20 ტონა შაქრის ჭარხლის ნაცვლად 90 ტონა ჩააბარა სახელმწიფოს. ლილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და სოცშეჯიბრებებში გამარჯვებულის მედლით...



დღეს ქიონია სარსანიას მაგალითზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ახალგაზრდა კომუნისტმა **ციალა ქვარაიამ**. მან წელს 10700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მათ შორის 9385 კილოგრამი პირველი ხარისხისა იყო.

იმავე მეურნეობის მეჩაიემ **ქუჩუჩი ხარჩილავამ** საიუბილეო წლის შესახვედრად 12233 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს.

გუშინ თუ თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ სახელმოხვეჭილი ქალები, დღეს საქართველოში მთელი არმიაა სახელოვანი ქალებისა. ზუგდიდის რაიონში მარტო ერთმა სოფელმა — ახალსოფელმა 36 სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე ქალით ისახელა თავი.

და მარად და მარად უნდა გვახსოვდეს, ეს შრომის გზა პირველად ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანებმა გაჭრეს, შემდეგ ესტაფეტა ახალგაზრდებს გადაულოცეს და დღეს მათთან ერთად ზეიმობენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ოლია დადიანი

ეროვნული

# ვჭედოთ ჩვენი მომავალი...

საქართველოს ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიკამ მე, მაწანწალა, ლიტერატორად მაქციაო,— წერდა მაქსიმ გორკი. ეს იყო ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა რევოლუციური რომანტიკის ძიებამ, ძველი ცხოვრების ღრმად შესწავლის სურვილმა ნიჭიერი ახალგაზრდა საქართველოს დედაქალაქში რუსეთიდან ფეხით ჩამოიყვანა.

თბილისელ მუშებს იგი პირველად ნაძალადევში — საორთქლმავლო დეპოსა და მთავარ სახელოსნოებში შეხვდა. მათ გვერდით იდგა, ფუნჯი ეჭირა, რკინიგზის ვაგონებს ღებავდა, და მათთან ერთად ოცნებობდა ახალ ცხოვრებაზე, რომლის გარიჟრაჟიც თანდათან ახლოვდებოდა.

მაქსიმ გორკის ამიერკავკასიის მთავარ სახელოსნოებში მუშაობა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. დედაქალაქის ეს მუშათა უბანი რევოლუციის კერად ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იქცა, როცა, ლადო კეცხოველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გემებმა გააპო შავი და კასპიის ზღვები, ორ ზღვას შუა ხმელეთის მიუვალი მთები კი რკინიგზებმა გახვრიტა და ახალმა „ვეშაპმა" მიაკივლა მიყრუებულ მიდამოს. ბუნება და ადამიანები შეკრთნენ, გამოიღვიძეს თვალების ფშვნეტით, ქართველი ჯერ შორიდან მიაჩერდა ამ ცხოველს, მერე კი თვითონაც შეაჯდა და გაჰყვა".

ორთქლმავლის ეს პირველი საყვირი თბილისის საორთქლმავლო დეპოდან 1872 წელს გაისმა, ხოლო თერთმეტი წლის შემდეგ ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების საყვირმა გაკვეთა ჰაერი, ძველი ცხოვრების ნგრევის ნიშანი მისცა და მუშათა კლასს ბრძოლისკენ მოუწოდა.

სახელოსნოები რევოლუციური აზრის საკრებულო გახდა. აქეთ გამოეშურნენ ახალი იდეებით შეიარაღებული ადამიანები და აქაური რომანტიკოსი მუშათა კლასის ორგანიზებულ ბრძოლას ჩაუდგნენ სათავეში, აქ შეიძინეს ის დიდი ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება, რომელმაც შემდგომ დიდი ოქტომბრის დაუვიწყარი მღელვარე დღეები მოიყვანა.

1926 წლის 8 ივნისს ი. ბ. სტალინმა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა რომ ინახულა, მუშათა წინაშე გამოსვლის დროს აღნიშნა: „აქ, ამ ამხანაგების წრეში მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა, აქ, ამხანაგების წრეში გავხდი მაშინ რევოლუციის შეგირდი. როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისელი მუშები იყვნენ". 1898 წელს, როცა პირველად ჩაიბარა რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე და რევოლუციური იდეების პროპაგანდას შეუდგა, ი. ბ. სტალინი ამ სიტყვებით იგონებდა:

„ეს მღელვარე წლები იყო. უდუხჭირესი ცხოვრება ჰქონდათ აქაურ მუშებს, აუტანელ პირობებში შრომობდნენ, დღენიადაგ მეფის ჟანდარმერიის ჩექმის ძალას გრძნობდნენ, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა და ფიქრი ნათელ მომავალზე".

„მე მაშინ მომეჩვენა, რომ თბილისში რევოლუციური მოძრაობა გაცილებით ფართო და ღრმა იყო, ვიდრე პეტერბურგში", — წერდა მ. ი. კალინინი. პარტიისა და ხალხის ეს ერთგული შვილი ამ სიტყვებში 1900 წლის აგვისტოს მღელვარე დღეებს გულისხმობდა, როცა ნაძალადევის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა მოეწყო. ეს გაფიცვა მარტო ამიერკავკასიისა კი არა, რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი.

მაგრამ ძვირად უჯდებოდათ თბილისელ მუშებს ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლა. ბევრი მათგანი შეეწირა მას კატორღებსა და საპყრობილეებში ჩამწყვდეული, მაგრამ ყველამ იმ იმედით დალია სული, რომ შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების ნათელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნებოდა.

„მე ვფიქრობ, რომ მეფის რუსეთში არ ყოფილა ისეთი დიდი საპყრობილე, სადაც არ მსხდარიყვნენ რკინიგზელთა საუკეთესო წარმომადგენლები. მერე რამდენი ადამიანი დაიღუპა მეფის თვითმპყრობელობასთან შეტაკებაში, რამდენი გაიგზავნა კატორღასა და გადასახლებაში! ასე იქმნებოდა თბილისის რკინიგზელთა რევოლუციური ტრადიციები", — წერდა მ. ი. კალინინი 1940 წელს, თბილისელ მუშებთან გატარებულ წლებს რომ იგონებდა. ისიც ხომ ამ სახელოსნოების ერთ-ერთი მუშა იყო...

რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, უთქვამს ხალხს. ამ ადამიანების გმირული ცხოვრება ისტორიის კუთვნილება გახდა და რელიკვიების სახით დღეს ათასობით ადამიანის მშვიდობიანი შრომისა და გარჯის ორიენტირი, მისაბაძი მაგალითია.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, ყოფილი ორთქლმავალვაგონშემკეთებელი საწარმო მთლიანად არის ასეთი რელიკვია და მისი ახალგაზრდა კოლექტივიც ამიტომ დგას დედაქალაქის მუშათა კოლექტივების ავანგარდში.

დრო მიდის. ტექნიკური პროგრესი თავისას მოითხოვს. ძირეულად იცვლება ადამიანების შრომისადმი დამოკიდებულების ფორმები და მეთოდები, ინგრევა ძველი და შენდება ახალი, მაგრამ რჩება ტრადიციები, რომლებიც ამ ახლის შენების, ბრძოლის ჟინს და ენთუზიაზმს მატებს ადამიანებს.

— როცა გავიგეთ, რომ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძველი საამქროების დანგრევა და ახლის მშენებლობა გადაწყვიტეს, ჩვენ, ვეტერანებს გული ჩაგვწყდა, — იგონებდა დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის ზეიმზე საწარმოს ვეტერანი მუშა ელენე აკოფოვა, — მაგრამ, როცა რეკონსტრუქციის გეგმას გავეცანით, დავმშვიდდით, სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა. იმდენად კარგად, მოწიწებით გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, რომ ყოველი ისტორიული ადგილი ქარხანაში, ყოველი ისტორიული მოვლენა თაობებისათვის ცნობილი იქნება...

ქარხანა-მუზეუმმა მთლიანად იცვალა სახე გაახალგაზრდავდა, ახალი კორპუსებით დამშვენდა, მაგრამ ძველი ტრადიციები აქ ყველგან სუნთქავს. ალაყაფის კარს შეაღებთ თუ არა, თქვენს წინ გადაიშლება „რევოლუციის სკვერი", ყოველი საამქროს შესასვლელთან გმირული ისტორიის დაუვიწყარ ფურცლებს გაეცნობით, სათუთად მოვლილი დაგხვდებათ მ. ი. კალინინის, ი. ბ. სტალინის, გ. კ. ორჯონიკიძის, მ. გორკის სამუშაო ადგილები, ქარხნის მუზეუმის ექსპოზიცია კი საწარმოს მთელ ცხოვრებას გაგაცნობთ — რევოლუციის გარიჟრაჟიდან დაწყებული და ჩვენი დღევანდელი დღეებით დამთავრებული.

რევოლუციის ჭაღარა ჯარისკაცები, საწარმოს პირველი მუშები ფრიდა კიკნაძე, ფილიმონ ლაბაძე, დომენტი გოგორიშვილი, ლევან არზუმელაშვილი, სიმონ ზაკომოლდინი, პავლე გეპნერი და სხვები დიდ ზეიმს — ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს მოესწრნენ. ზოგიერთი ვეტერანთაგანი დღეს ამქვეყნად აღარ არის, მაგრამ ძველი გვარდიის მუშების ადგილი უკვე ოცდაათიანი წლების ვეტერანებმა კონსტანტინე ილურიძემ, ვარლამ ბეჟუაშვილმა, გივი გაჩეჩილაძემ და სხვებმა დაიკავეს, რომელთა თავდადებაც მისაბაძია საწარმოს ახალგაზრდებისათვის...

უკრავდა ორკესტრი. ჟღერდა ინტერნაციონალი — პარტიის ჰიმნი, ყველასათვის ახლობელი, ნაცნობი, ამაღელვებელი. „რევოლუციის სკვერში" აღმართულ სცენაზე ახალგაზრდების და ჭაღარა ვეტერანების ჯგუფი იდგა და მგზნებარედ მღეროდა.

ელექტროვაგონშემკეთებლები ძველი გვარდიის ჯარისკაცებს ხვდებოდნენ. მეტად ამაღელვებელი და ღირსსახსოვარი იყო ეს შეხვედრა ახლა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავზე, ახალი ხუთწლედის მეორე წელიწადს, როცა საწარმოს კოლექტივი ორ ფრონტზე შრომობს: ეს-ეს არის ამთავრებს ძველი საწარმოო ბაზის რეკონსტრუქციას, და სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებსაც პირნათლად ასრულებს.

— ჩვენთან ტრადიციულად იმართება ასეთი შეხვედრები, — გვითხრა მჭედელმა, სოციალისტური შრომის გმირმა კონსტანტინე ილურიძემ, — და ამ შეხვედრებს ახალგაზრდა მუშების „მონათვლის" დღედ ვთვლით, ახალბედებს გზას ვულოცავთ, ტრადიციების ერთგულებას ვასწავლით.

თუ რა კარგი შეგირდები დგანან ამ ამაგდარი ადამიანების ყოფილ სამუშაო ადგილებზე, ეს კარგად ჩანს ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს მუშა ქალის ლია ბარნოვის სიტყვებიდან: „იოსებ სტალინის, მაქსიმ გორკის, მიხეილ კალინინის, სერგო ორჯონიკიძის და სხვათა ნატერფალზე მხოლოდ ღირსეულმა ადამიანებმა უნდა იარონ. ჩვენ, უფლება არა გვაქვს არ გვიყვარდეს მშობლიური საწარმოს წარსული, არ ვსწავლობდეთ მას. მამა-პაპათა მაგალითი, მათი თავდადება, რევოლუციური ტრადიციების პატივისცემა იყო, არის და იქნება ჩვენი ახალგაზრდების საბრძოლო დევიზი"...

ქარხნის სამოცდაათიანი წლების კომუნისტებმა და კომკავშირელებმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავზე ესტაფეტად მიიღეს ვეტერანთა ლოზუნგი: „ვიაროთ წინ, მხოლოდ წინ, ვჭედოთ ჩვენი ნათელი მომავალი!"

რამინ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი — ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ჭეშმარიტი საგანძური 1933 წელს დაარსდა. ეს მოვლენა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. მაშინ ხელოვნების მუზეუმს მეტეხის ტაძარი და მისი მიმდებარე შენობები ეჭირა.

მუზეუმის ფონდებს საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული გალერეის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, საეკლესიო სიძველეთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. მას შემდეგ მუზეუმის ფონდები ინტენსიურად იზრდებოდა და დღესაც ივსება. იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმია, რომელიც გარდა ქართული ხელოვნების უნიკალური ნიმუშებისა, რუსულ, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლური ხელოვნების ბრწყინვალე კოლექციებსაც ფლობს.

მუზეუმის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი თარიღი: 1945 წელი, როდესაც საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით ქართველ ხალხს დაუბრუნდა მენშევიკების მიერ 1921 წელს გატაცებული ეროვნული განძეულობა, რომლის დიდმა ნაწილმა იმთავითვე ხელოვნების მუზეუმში დაივანა, და 1952 წელი, როდესაც მუზეუმს გადაეცა ლენინის მოედანზე მდებარე ყოფილი სასულიერო სემინარიის მშვენიერი შენობა. სწორედ ამ წლებში გამოიკვეთა საბოლოოდ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სხვა მუზეუმებისაგან განსხვავებული თავისებურებები, მისი ნამდვილი სახე, რომელიც მას დღემდე აქვს შენარჩუნებული.

დამთვალიერებელი პირველად მუზეუმის საგანძურში ხვდება. აქ წარმოდგენილია ქართული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის—ოქრომჭედლობის განვითარება უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს წინაქრისტიანული ხანის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საოცრად ფაქიზი და ნატიფი სამკაულები, რომელთა ერთი ნაწილი თვით მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ არის მოპოვებული.

საგანძურში უფრო სრულად ქრისტიანული ხანის ქართული ოქრომჭედლობაა წარმოდგენილი. აქ არის ბედიის ოქროს ბარძიმი, ბექა ოპიზარის ანჩისხატი, ხახულის ხატი, თამარ მეფის ჯვარი; აქ არის შუა საუკუნეების ქართული მინანქრების, საიუველირო ხელოვნების, მხატვრული ქსოვილების უმდიდრესი კოლექციები.

საგანძურის გაგრძელებაა მუზეუმის მეორე სართულზე გაშლილი ძველი ქართული ხელოვნების ექსპოზიცია, სადაც საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი, კვლავ უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, ხელოვნების სხვა დარგები: მონუმენტური და დაზგური ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, კერამიკა. ყურადღებას იქცევს ბიჭვინთისა და წრომის მოზაიკები, სხვადასხვა დროის შესანიშნავი ფერწერული ხატები, ფრესკების ორიგინალები, ჩამოხსნილი დაღუპვის პირამდე მისული ხუროთმოძღვრული ნაგებობებიდან, ფრესკებისავე ასლები, რომელთაგანაც ბევრი კარგა ხნის წინათ არის გადმოღებული და რომელთა ორიგინალები დღეს ან საკმაოდ სახეშეცვლილია ან საერთოდ აღარ არსებობს. დარბაზებში გამოფენილია შესანიშნავი ორნამენტებითა და რელიეფებით მორთული სტელები, ხუროთმოძღვრული ძეგლების ფრაგმენტები. საეტაპო მნიშვნელობის ნაგებობათა უფრო სრული სახით წარმოსადგენად იქვე მოცემულია მათი ანაზომები, ფოტოსურათები და ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული ჩანახატები.

მუზეუმი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისტორიულ განძთა საცავი არ არის. იგი სრულიად თანამედროვე, ქმედითი ორგანიზმია, რომლის ვალია ხიდი გადოს წარსულსა და დღევანდელობას შორის და ეს კავშირი ხილული გახადოს.

მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალ და თანამედროვე ხელოვნებას. მუზეუმის დარბაზებში, მხოლოდ აქ, შეიძლება თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ყალიბდებოდა ახალი ქართული რეალისტური ხელოვნება, როგორ თანდათან უბამდა მხარს მსოფლიოს მოწინავე იდეებს ახლო წარსულის ქართული მხატვრული აზროვნება. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან გამოყოლილი პირობითობისა და სქემატურობის ნიშნით აღბეჭდილი, მაგრამ უკვე რეალისტური XIX საუკუნის დასაწყისის პორტრეტებიდან თვალი ინაცვლებს გ. მაისურაძის, ა. ბერიძის, რ. გველესიანის, გ. გაბაშვილის, ა. მრევლიშვილის ფერწერულ ტილოებზე, ი. ნიკოლაძის ქანდაკებებზე, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მოკლე დროის მანძილზე მიაღწია ქართულმა რეალისტურმა ხელოვნებამ პროფესიულ მოწიფულობას და მხარში ამოუდგა ამ გზაზე სხვა უფრო დიდი და ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეყნებს.

მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება, დაცულია მხატვრის ნაწარმოებთა აბსოლუტური უმეტესობა — 128 ნამუშევარი, და მათგან თითქმის ნახევარი ექსპოზიციას ამშვენებს.

შესაძლებელი სისრულით არის ნაჩვენები ა. ციმაკურიძის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ქ. მაღალაშვილის, ე. ახვლედიანის, უ. ჯაფარიძის, ს. ქობულაძის და ქართველ საბჭოთა მხატვართა შედარებით უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები.

მუზეუმს აქვს სამი ფილიალი — მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძის და ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმები, სადაც ამ ჩინებულ შემოქმედთა ნამუშევრები ბევრად უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი.

მუზეუმს რუსული ხელოვნების საკმაოდ მდიდარი კოლექცია აქვს. მაყურებელს საშუალება ეძლევა მრავალი გამოჩენილი რუსი მხატვრის თვალსაჩინო ნაწარმოები ნახოს, გაეცნოს ძველი რუსული ხატწერის ნიმუშებს, ფ. როკოტოვის, დ. ლევიცკის, ა. ანტროპოვის, ვ. ბოროვიკოვსკის, ი. რეპინის, ი. კრამსკოის, ვ. სურიკოვის, ვ. სეროვის, ი. აივაზოვსკის ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ ჩანახატებს.

დასავლეთ ევროპული ხელოვნების ფონდები არც თუ ისე მრავალფეროვანია, მაგრამ აქ გამოფენილი იტალიელი, ფრანგი, ესპანელი, გერმანელი, ფლამანდრიელი და ჰოლანდიელი მხატვრების ზოგიერთი ნაწარმოები მაინც იმდენად საინტერესოა, რომ მათით ბევრი სახელგანთქმული მუზეუმი იამაყებდა.

მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების კოლექციას თავისი მაღალმხატვრული და მეცნიერული ღირსებებით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლენინგრადის ერმიტაჟისა და მოსკოვის აღმოსავლური კულტურის მუზეუმის კოლექციათა გვერდით. ამ განყოფილების ზოგიერთი ექსპონატი ჭეშმარიტად უნიკალურია და სპეციალისტების ყურადღებას იქცევს.

გთავაზობთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რამდენიმე რჩეული ექსპონატის რეპროდუქციას.

თ. სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან მაღალაშვილი. მანანა ქიქოძის პორტრეტი.



ნ. ფიროსმანაშვილი. მეეზოვის ქალი ვაჟიშვილით



ე. ბაღდავაძე. „გასეირნება".



ელენე ახვლედიანი. ძველი თბილისი.



დ. კაკაბაძე რიონჰესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული საბჭოთა ხელოვნების სათავეებთან

ვერიკო ანჯაფარიძე





ნატო ვაჩნაძე

ნუცა ჩხეიძე





ელენე ახვლედიანი



ვერა წიგნაძე



თამარ ჭავჭავაძე

### როგორ ვიზარდეთ

# ზაჰესიდან ენგურჰესამდე



ზაჰესი

საქართველოში ენერგეტიკის ისტორია ზაჰესით იწყება. იგი 50 წლის წინათ, 1927 წლის 26 ივნისს ამუშავდა მცხეთის მახლობლად, არაგვისა და მტკვრის შესაყართან. საბჭოთა კავშირში ზაჰესი ვოლხოვის შემდეგ მეორე ელექტროსადგურია, რომელიც „გოელროს“ ლენინური გეგმით აშენდა.

ეს ორი ძმა — ვოლხოვი და ზაჰესი საბჭოთა ხალხის ერთობლივი შრომით არის შექმნილი. მოძმე ქართველ ერს ჯერ კიდევ ღარიბმა საბჭოთა რუსეთმა ზაჰესის მშენებლობისათვის 700 ათასი მანეთი გამოუყო (ოქროთი).

მის მშენებლობაში ჩაებნენ რუსი სპეციალისტები. მოსკოვმა და ლენინგრადმა სადგურის აგრეგატები დააპროექტეს. ეწყობოდა შაბათობები ზაჰესის მშენებლობაზე. მათში აქტიურად მონაწილეობდა სერგო ორჯონიკიძე, მშენებლობას თვალყურს ადევნებდნენ მ. კალინინი, ა. მიქოიანი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. ამ სახალხო მშენებლობას წერილი მიუძღვნა „იზვესტიამ“.

„ზაჰესი“ კავკასიაში ლენინის ერთ-ერთი გენიალური განხორციელებული აზრია. ეს ერთ-ერთი ხიდია, რომლითაც კავკასიის ხალხები მონასტრების კულტურიდან ინდუსტრიის კულტურაში გადავლენ“.

ზაჰესის ელექტროენერგიამ რესპუბლიკაში დიდ აღმავლობას მისცა დასაბამი. ზემო ავჭალის ჰიდროსადგურს შემდგომში უმცროსი ძმებივით გვერდში ამოუდგნენ რიონჰესი და ხრამჰესი.

ზაჰესის კაშხალზე აღმართული ი. შადრის მიერ შესრულებული ლენინის ძეგლი წინ გაშვერილი ხელით თითქოს გზას გვანიშნებს, რომელზეც ახალი ელსადგურები აღიმართება.

და მართლაც, დღეს ზაჰესით დაწყებულ გზას ენგურჰესი აგრძელებს. იგი რესპუბლიკას უფრო მეტ ენერგიას მისცემს, ვიდრე ერთად აღებული ყველა სადგური იძლევა. მაშინ უფრო სრულად გამოიყენება დასავლეთ საქართველოს აურაცხელი სიმდიდრე, მოირწყვება ურწყავი მიწები, აბიბინდება ჩაი, გაიხარებს ციტრუსოვანი კულტურები.

ენგურჰესის შემდეგ ხუდონის სადგური ჩადგება მწყობრში, რომელიც მის მახლობლად შენდება და სიმძლავრით მეორე იქნება. რიონზე ნამახვარის კომპლექსის აშენებაა გათვალისწინებული.

საქართველოში ელექტროენერგეტიკის ასეთი განვითარება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საწინდარია.

ენგურჰესი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პარტიის წევრი 1903 წლიდან

რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ბაბე ბოჭორიძე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება რევოლუციის საქმეს, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას დაუკავშირა.

ბაბე თავისი დისწულის, ცნობილი რევოლუციონერის მიხო ბოჭორიძის ზეგავლენით ეზიარა რევოლუციურ იდეებს. ის მშობლიური თელავიდან 1890 წელს გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად, დაუახლოვდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს და ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. ბაბე წარმატებით ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს, მონაწილეობდა არალეგალური კრებების მოწყობაში, საგაფიცვო მოძრაობაში, ავრცელებდა მეფის თვითმპყრომელობის საწინააღმდეგო ლიტერატურას.

მხოლოდ ისეთ საზრიან და მტკიცე მებრძოლს, როგორიც ბაბე იყო, შეეძლო თვითმპყრობელობის პირობებში უშუალო მონაწილეობა მიეღო არალეგალური სტამბების მოწყობასა და ამუშავებაში.

1903 წლის ზაფხულში დიდი წვიმების გამო ნაძალადევში არსებული არალეგალური სტამბის შენობა დაინგრა და სტამბა ჩუღურეთში გადმოიტანეს. სახლის ერთ ოთახში სტამბა მოეწყო, მეორეში კი ბაბე ბოჭორიძე დაბინავდა. იგი, გარდა იმისა, რომ დიდი ხალისითა და მოხერხებულობით ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს, მეთვალყურეობას უწევდა სტამბას და მოახლოებულ საშიშროებას დაუყოვნებლივ აგებინებდა სტამბაში მომუშავეებს.

რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინის მითითებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გააფართოვა არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გამოცემა, თავის ერთ-ერთ წევრს, ცნობილ რევოლუციონერს მიხო ბოჭორიძეს დაავალა თბილისში დიდი არალეგალური სტამბა მოეწყო, რომელიც შემდეგში ამიერკავკასიაში არალეგალური ლიტერატურის გამოცემის მძლავრი ბაზა გახდა.

1903 წლის ბოლოს, როცა კონსპირაციული ბინის მშენებლობა და ავლაბრის არალეგალური სტამბის მოწყობა დამთავრდა, სახლის ერთ ოთახში მისი „დიასახლისი" — ბაბე ბოჭორიძე ჩასახლდა, ხოლო მეორეში—„მდგმურები" — სტამბაში მომუშავენი. ბაბემ სტამბის ბინა და ეზო ისე მოაწყო, რომ ნამდვილ საცხოვრებელს დაამსგავსა.

არალეგალურ სტამბაში მუშაობისას პოლიციის თავდასხმა ყოველთვის მოსალოდნელი იყო. „დიასახლისი" ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას, საშიშროების დროს საიდუმლო ზარის საშუალებით აფრთხილებდა სტამბაში მომუშავეებს. თავისი საზრიანი, დროული და გაბედული მოქმედებით მან ბევრჯერ გადაარჩინა სტამბა ჩავარდნას და იქ მომუშავენი კი — დაპატიმრებას.

სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე იბეჭდებოდა პროკლამაციები, მოწოდებები, ბროშურები, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", აქ დაიბეჭდა ლენინის ბროშურა „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა" და სხვა.

სტამბაში დაბეჭდილი არალეგალური ლიტერატურა ნათელ სურათს იძლეოდა რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობაზე, აშუქებდა ამიერკავკასიისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტებს, ამხილებდა მეფის მთავრობას, მშრომელებს მოუწოდებდა მისი დამხობისაკენ.

1905 წელს ბაბე ბოჭორიძე პარტიული ორგანიზაციის დავალებით აქტიურად მონაწილეობდა იარაღის გამოსატანად ქუთაისის ცეიხჰაუზის ქვეშ საიდუმლო ხვრელის გაყვანაში, მაგრამ იარაღის გამოტანა ვერ მოხერხდა. ბაბე თბილისში დაბრუნდა და 1906 წლის მარტში კვლავ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიწყო მუშაობა. ამავე წლის აპრილში ჟანდარმერიამ სტამბა აღმოაჩინა და დაიწყო მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრებები. დაპატიმრება ბაბესაც მოელოდა, რის გამო, ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, იგი მონაზონის ტანსაცმლით სოფელ ჭაგანში (სამტრედიის რაიონი) ცნობილი რევოლუციონერის გიორგი თელიას ოჯახში გაემგზავრა.

1907 წელს ბაბე სოხუმში იმყოფებოდა და ორგანიზაციის დავალებით დიდი მზრუნველობით უვლიდა ჭლექით დაავადებულ გიორგი თელიას. ამავე წლის ივნისში იგი მონაწილეობდა კამოს ხელმძღვანელობით თბილისში მოწყობილ ცნობილ ექსპროპრიაციის მომზადებაში. ბაბეს ხელი ერია 1909 წელს გორის სახელმწიფო ხაზინის ქვეშ საიდუმლო ხვრელის გაყვანაშიც.

ბაბე ბოჭორიძე აქტიურ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, უბადლო ოსტატობით ასრულებდა პარტიული ორგანიზაციების დავალებებს მენშევიკური ბატონობის პერიოდში, მას კავშირი ჰქონდა დაპატიმრებულ ამხანაგებთან, აწვდიდა მათ ლიტერატურას და სადირექტივო მითითებებს, რისთვისაც მენშევიკებმა ორჯერ დააპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ბაბე ბოჭორიძე ხანდაზმულობის გამო უკვე პენსიაზე გავიდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე, 1946 წლამდე კვლავაც დიდი მონდომებითა და ხალისით ასრულებდა პარტიულ დავალებებს.

რევოლუციისადმი უსაზღვრო თავდადებაზე, მშრომელი ხალხის ბედნიერ მომავლისათვის სპეტაკ და უანგარო სამსახურზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ბაბე ბოჭორიძეს არალეგალური მუშაობის პერიოდში არ უფიქრია ფორმალურადაც ყოფილიყო იმ პარტიის წევრი, რომლის საქმესაც ის ასე თავდავიწყებით და დიდი ოსტატობით ემსახურებოდა. მხოლოდ 1923 წელს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, გაითვალისწინა რა მისი ფასდაუდებელი ღვაწლი საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მიხა ცხაკაიას და ვანო სტურუას შუამდგომლობით გააფორმა ბაბე ბოჭორიძე 1903 წლიდან პარტიის წევრად.

ბაბე ბოჭორიძის ნათელი სახე და ცხარე ბრძოლებით აღსავსე ცხოვრება, კომუნისტური იდეებისადმი მისი უანგარო თავდადება ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს.

**ევგენია ქურციკიძე,**
**საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეცნიერი ქალები

ახალმა კონსტიტუციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქალის დიდი უფლებები. ქალი უფლებრივად გაუთანასწორდა მამაკაცს, და ღირსეულად ამოუდგა მას მხარში.

დღეს ქართველ მეცნიერ მუშაკთა 45 პროცენტი ქალია. დოქტორ ქალთა რიცხვმა 200-ს მიაღწია. აქედან 70 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და პროფესორია; მეცნიერების კანდიდატ ქალთა რიცხვმა კი 1900-ს გადააჭარბა.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას აქ მხოლოდ სამი მეცნიერი ქალი მოღვაწეობდა: თამარ ლომოური, ნინო ციციშვილი, რუსუდან ნიკოლაძე.

ახლა თითქმის ყველა დარგში გვყავს აღიარებული მეცნიერი ქალები.

ვეტერანი ქართველი მეცნიერია მთელ მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ქსენია ბახტაძე.

კოსმოსური სხივების შესწავლისათვის ქალთა შორის პირველმა თინათინ ასათიანმა მიიღო ლენინური პრემია. ამავე პრობლემებზე წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ნინო როინიშვილი.

ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ ლაბორატორიას განაგებს ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი თეა ცეცხლაძე.

ასტრონომიაში თვალსაჩინო მკვლევარია მეცნიერებათა დოქტორი ნინო მაღნარაძე, ხოლო ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეული წევრია მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ელენე ობოლაშვილი.

ყველასათვის ცნობილი არიან: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნინო ჯავახიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები დარეჯან ბერეჟიანი, მინა შაცი, თამარ ღლონტი. თამარ დეკანოსიძე, ლუბა შეწირული, სოფიო ბუაჩიძე, თინა სირია და სხვები.

ქიმიის დარგში აღიარებულია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რადიაციული ქიმიის ლაბორატორიის გამგე პროფესორი ელენე ნანობაშვილი.

ფარმაცევტული ქიმიის დარგს ღირსეულად ხელმძღვანელობს ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეთერ ქემერტელიძე. ამავე ინსტიტუტში დაარსების დღიდან მუშაობს მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან მუჯირი, რომელსაც ახალგაზრდა კადრების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში თხევადი სათბობის ლაბორატორიას განაგებს მეცნიერებათა დოქტორი ელისაბედ ბენაშვილი, აქვე მოღვაწეობენ ელენე დავითაშვილი, ლია ციციშვილი და სხვები.

გეოგრაფიის ინსტიტუტში სასარგებლო საქმიანობას ეწევა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ელენე სოხაძე.

გეოლოგია მძიმე დარგია ქალისათვის, მაგრამ ამ პროფესიაშიც მრავალი გამოჩენილი ქალი გვყავს. ქართულ გეოლოგიურ სკოლას ამშვენებს მეცნიერებათა დოქტორების მედეა უზნაძის, ლიდა კოლოშვილის და სხვათა სახელები.

ბოტანიკურ მეცნიერებას საქართველოში დიდი ტრადიციები აქვს. ბოტანიკის ინსტიტუტში ჩვენი ქვეყნის ფლორის შესწავლაზე მუშაობს ქალთა დიდი კოლექტივი. აქ არიან ცნობილი პედაგოგი და მეცნიერი, პროფესორი ქსენია ცხაკაია, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: თამარ კეზელი, გალინა კანდელაკი, ალექსანდრა გორგიძე, ლიტა ანთაძე და სხვები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტს ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იბერიულ-კავკასიური ენების ერთერთი ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად მრავალგზის არჩეული, საზოგადო მოღვაწე ქეთევან ლომთათიძე.

ამავე ინსტიტუტში მუშაობს ენათმეცნიერების თეორიული პრობლემების მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ შარაძენიძე.

36 წელია სამართლის მეცნიერებას ემსახურება იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე თინათინ წერეთელი, რომელიც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სამართლის განყოფილებას ხელმძღვანელობს. თინათინ წერეთელი პირველი ქალია სსრ კავშირში, რომელმაც სამართლის დარგში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

არ შეიძლება გულისტკივილით არ გავიხსენოთ დიდი მეცნიერი, პროფესორი ვერა ბარდაველიძე, რომლის ნაშრომები ქართული მეცნიერების ოქროს ფონდში შევიდა. ის ქართული ეთნოგრაფიული სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო.

ქართულ ისტორიულ მეცნიერებას ჰყავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ყაუხჩიშვილი, ხოლო ივანე ჯავახიშვილის კათედრას — საქართველოს ისტორიის კათედრას განაგებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე. ცნობილია ნინო ხოშტარიას სახელი, რომელმაც ქართული ისტორიული მეცნიერება მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენით გაამდიდრა.

საქართველოს არქეოლოგიის დარგში წარმატებით მუშაობენ ნინო ბერძენიშვილი, ნინო უგრელიძე და მრავალი სხვა ახალგაზრდა სპეციალისტი.

ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთი მოწინავე მუშაკია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ელენე თოფურიძე, რომლის ნაშრომები საზღვარგარეთის თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობათა კრიტიკას ეძღვნება და რამდენიმე უცხო ენაზეა თარგმნილი.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ენის ფსიქოლოგიური პრობლემების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს სახელოვანი მეცნიერი დარეჯან რამიშვილი, რომელიც მრავალი მონოგრაფიისა და გამოკვლევის ავტორია. ამავე ინსტიტუტში მოღვაწეობს ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ჭრელაშვილი.

ქართველ, რუს და უცხოელ აღმოსავლეთმცოდნეთა შორის კარგად არის ცნობილი პროფესორ მზია ანდრონიკაშვილის სახელი, ხოლო ინსტიტუტის ირანულ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თეა ჩხეიძე.

კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და შეისწავლება ყველაზე დიდი საუნჯე ჩვენი სულიერი კულტურისა, რამდენიმე ათეული ათასი ქართული ხელნაწერი, მრავალგანსაცდელგამოვლილი და ჩვენამდე მოღწეული. ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ელენე მეტრეველი.

ამავე ინსტიტუტში მრავალი წელია მუშაობენ ქართული ხელნაწერების ჩინებული მცოდნე, მათი დაცვისა და შესწავლის ფანატიკოსი, (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლილი ქუთათელაძე და სახელოვანი მამის სახელოვანი შვილი, ჩინებული მეცნიერი და პედაგოგი მზექალა აკაკის ასული შანიძე.

ქართული ხელოვნების მკვლევარნი არიან ცნობილი მეცნიერი ქალები, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები სარა ბარნაველი, რუსუდან მეფისაშვილი, თინათინ ვირსალაძე, კიტი მაჩაბელი, გაიანე ალიბეგაშვილი.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფოლკლორისტი ქალები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები ქსენია სიხარულიძე და ელენე ვირსალაძე.

ამჟამად უნივერსიტეტში მრავალი მეცნიერი ქალი მოღვაწეობს. მათგან ცალკე უნდა გამოვყოთ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი თინათინ მრევლიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნატა ხიდაშელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, კათედრის გამგე მერი ჭელიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიოლეტა ცისიკარიძე.

ქართველმა მეცნიერმა ქალებმა დაამტკიცეს, რომ მათ დიდი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი აქვთ. მარტო ის რად ღირს, რომ ორ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელს, სადაც ათასობით სტუდენტი სწავლობს, წარმატებით ხელმძღვანელობენ ქალები.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორია კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი ეთერ გუგუშვილი, იმავე ინსტიტუტში მუშაობენ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორები ნადია შალუტაშვილი და ნათელა ურუშაძე.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ვასაძე.

ეს პატარა წერილი ვერ იტევს ყველა მეცნიერი ქალის სახელს და არც ყველაფერია მასში ნათქვამი იმ დიდ მოღვაწეობასა და საქმიანობაზე, რასაც ქართველი მეცნიერი ქალები ეწევიან. ახალგაზრდა მეცნიერი ქალებიც არ გვიწყენენ, თუ მათი გვარების ჩამოთვლა მთლიანად ვერ შევძელით.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან მკითხველი ხშირად ეცნობა ამა თუ იმ მეცნიერი ქალის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და მიღწევებს. მაგრამ არიან ისეთი გამოჩენილი ქალებიც, რომელთა წინაშე ჟურნალი ჯერ კიდევ ვალშია...

ამ სამოცი წლის მანძილზე ჩვენმა სახელოვანმა მკვლევარმა ქალებმა ბევრი რამ შესძინეს მეცნიერებას, ხალხს. ჩვენ გულწრფელად გვახარებს მათი წარმატებები. შემდგომშიც ვუსურვებთ მეცნიერ ქალებს უფრო მეტი აღმოჩენებითა და მიღწევებით გაეხარებინოთ დედასამშობლო.



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

რესპუბლიკური საავადმყოფო





ჩაის პლანტაციებში



ხარაჩოებზე



კავშირგაბმულობის სახლი თბილისში



ნატანების საშუალო სკოლა



მეჯრა. სანატორიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თერჯოლის პიონერთა ქალაქი „საპოვნელა"

## ჩვენი ინტერვიუ

# უპირველესი საზრუნავი

ახლა ჩვენს ქვეყანაში დიდი საიუბილეო ზეიმია, და, როგორც ყოველთვის, ღირსსახსოვარ დღეებში, ადამიანები გონების თვალით გავცქერით გზას, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ გაიარა, ბრძოლისა და შრომის სახელოვან გზას, ვაჯამებთ წარმატებებს, ამ გზაზე მრავლად რომ მოვიპოვეთ. მაგრამ ყველაზე დიდი მონაპოვარი რევოლუციისა და საბჭოთა წყობილების მონაპოვართა შორის გახლავთ „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის". ესაა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების დევიზი, დევიზი, რამაც თვალნათლივი ასახვა ჰპოვა ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონში — ახლახან მიღებულ კონსტიტუციაში. „განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის", აცხადებს კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

ამასწინათ ჩვენი რედაქციის კორესპონდენტი ეწვია გამოჩენილ ქართველ პედიატრს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **ირაკლი ფაღავას** და სთხოვა მკითხველისათვის გაეცნო საბჭოთა ქვეყანაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა. ვაქვეყნებთ ამ საუბარს:

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვას საფუძველი 60 წლის წინ ჩაეყარა. 1917 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტი, რომელიც ბავშვებზე ზრუნვას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ აცხადებდა.

— როგორ ზრუნავდნენ ბავშვის ჯანმრთელობისათვის რევოლუციამდელ საქართველოში?

— 1917 წლისათვის საქართველოში ერთადერთი ბავშვთა საავადმყოფო იყო, ერთიც — კერძო სანატორიუმი. მოსახლეობას მომსახურებას უწევდა მხოლოდ შვიდი პედიატრი, ამათგან ხუთი თბილისში მუშაობდა. მდგომარეობა მართლაც სავალალო იყო.

უფრო სამწუხარო კი ის იყო, რომ წარსულ საუკუნეებში საქართველოში მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად მაღალ დონეზე იდგა მედიცინაც. შემორჩენილ საექიმო ძეგლებში ვრცლად არის გადმოცემული ბავშვის ფიზიოლოგიის, დაავადებების, ჰიგიენისა და მკურნალობის საკითხები. ჩვენი ხალხი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც მანდილოსნის პატივისმცემელი და ბავშვებზე მზრუნველი. ჩვენი ადათ-წესებიდან, საისტორიო თუ სიტყვაკაზმული მწერლობიდან ჩანს, რომ შეუწყნარებელ დანაშაულად ითვლებოდა ჩვილთა მკვლელობა, უზნეობად — ბავშვის დამშევა, სამარცხვინოდ— შეგირდისადმი გულგრილობა. საუკუნეების ძნელბედობამ დააკნინა დედისა და ბავშვისადმი მზრუნველობის საქმეც.

— რომელი წლიდან იწყება ქართული პედიატრიის აღმასვლა?

— მაშინვე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებიდან. 1921 წლის 8 მარტს საქართველოს ჯანდაცვის კომისარიატში შეიქმნა დედათა და ბავშვთა დაცვის საბჭო, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა. მაშინ ამ საქმის დიდი ენთუზიასტი იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე თიკანაძე.

— რა მიმართებით გადაიდგა პირველი ნაბიჯები?

— უპირველესი საზრუნავი სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის გაფართოება და უფრო რაციონალური დახმარების ორგანიზაცია იყო. გადაუდებელი საქმე იყო აგრეთვე პედიატრთა კადრების მომზადება და მეცნიერული კვლევა-ძიების ორგანიზაცია. თუ როგორი სისწრაფით მიმდინარეობდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის განვითარება, ამას ციფრები გვიჩვენებს: 1930 წელს საქართველოში უკვე 97 ბავშვთა კონსულტაცია-პოლიკლინიკა იყო, 1967 წელს — 265, ამჟამად კი მათი რიცხვი 300-ს აღემატება. წეღან ვთქვი, რევოლუციამდე ჩვენში ერთადერთი ბავშვთა სანატორიუმი იყო მეთქი, ცემში. ახლა ბავშვებს ორმოცამდე გამაჯანსაღებელი სანატორიუმი ემსახურება. ახლა საავადმყოფოებზე მოგახსენებთ: 1940 წელს რესპუბლიკაში 5 ბავშვთა სომატური საავადმყოფო გვქონდა, 1950 წელს — 13, 1960 წელს — 22, 1967 წელს კი — 30.

— შთამბეჭდავი ციფრებია. ცხადია, ეს გადამწყვეტ გავლენას მოახდენდა ბავშვთა დაავადებების შემცირებაზე. არაფერს ვიტყვი ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობაზე, რომელიც როგორც გადმოცემით ვიცით, საოცრად მაღალი ყოფილა.

— 1917 წელთან შედარებით ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა ათჯერ და კიდევ მეტად შემცირდა. გეგმაზომიერად ჩატარებულმა პროფილაქტიკურმა და სამკურნალო ღონისძიებებმა მოსპო მწვავე და ქრონიკული დაავადებანი — მალარია, ყვავილი, დიფტერია და სხვა. მინიმუმამდე შემცირდა და მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობს ქუნთრუშა. მცირდება სხვა ინფექციური დაავადებებიც.

— რას გვეტყოდით ექიმთა კადრების შესახებ? რამდენ მკურნალს ითვლის საქართველოს პედიატრთა რაზმი?

— ათასობით. აქვე უნდა დავძინო, რომ აქ არ შედის ცალკეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეციალობის ექიმები — ოტოლარინგოლოგები, ნევროპათოლოგები, ფტიზიატრები და მრავალი სხვა, რომლებიც ბავშვებს სპეციალურ დახმარებას უწევენ.

— ეს რაზმი კი არა, მთელი არმიაა. ხომ არ მივმართოთ ისევ დიაგრამას?

— ინებეთ: 1923 წლისათვის საქართველოში 50-მდე ექიმი პედიატრი მუშაობდა, 1967 წელს — 1619, 1977 წელს კი—გაცილებით მეტი.

— პედიატრიის დარგში მომუშავე სამეცნიერო და პედაგოგიურ კადრებზე რაღას გვეტყვით.

— ბავშვთა სნეულების პირველი კათედრა 1921 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. მას ცნობილი მეცნიერი სიმონ გოგიტიძე ხელმძღვანელობდა. ახლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ბავშვთა სნეულების სამი კათედრაა, ერთი კათედრა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტსაც აქვს. გარდა ამისა, დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან პედიატრიის, ტუბერკულოზის, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ახლა ჩვენ გვყავს 12 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და მრავალი კანდიდატი. ქართველ პედიატრთა სამეცნიერო თემატიკა მუდამ უპასუხებდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ აქტუალურ პრობლემებს. ჩვენში კარგად არის შესწავლილი რევმატიზმი, ექსუდაციური დიათეზი, ტუბერკულოზი.

— ხომ არ დაგვისახელებდით ერთ რომელიმე განსაკუთრებით საინტერესო საკითხს, ქართველი პედიატრების მიერ წარმატებით გადაჭრილს?

— რატომაც არა: ჩვენმა პედიატრებმა საბჭოთა კავშირში პირველად შეისწავლეს ბავშვთა ქოლეცისტოპათიის ეთიოპათოგენეზი და კლინიკა, დედისა და ბავშვის სისხლის ჯგუფების შეუთავსებლობის მნიშვნელობა. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხები გახლავთ. ახლა, ალბათ მოგეხსენებათ, მთელი მსოფლიოს მედიკოსთა ყურადღება მიმართულია ე. წ. „ეპოქალური დაავადებების“, ინფექციურ-ალერგიული სნეულებების აქტუალური პრობლემებისადმი. ქართველმა პედიატრებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ამ დაავადებათა ფსიქოლოგიურ ასპექტში შესწავლით. ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობოდნენ გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის — დიმიტრი უზნაძის კონცეფციებს.

— ახლა უკანასკნელი, ქალთა ჟურნალისათვის ტრადიციული შეკითხვა. როგორც ცნობილია, საქართველოს პედიატრთა უმრავლესობა ქალებია. ხომ არ დაასახელებდით ზოგიერთ მათგანს, თუმცა ვგრძნობ, რომ ცოტა უხერხულ შეკითხვას გაძლევთ, რადგან ვიცი— ნიჭიერ, საქმისთვის თავდადებულ პედიატრ ქალთა რიცხვი ბევრზე ბევრია.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მართლაც ძნელია, ქართულ პედიატრიაზე ისაუბრო და რამდენიმე სახელი არ ახსენო. არ გაიხსენო ცნობილი რევოლუციონერის — კამოს დის — ჯავაირა ხუტულაშვილის დიდი წვლილი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საქმეში. ან როგორ შემიძლია პირადად მე არ გავიხსენო ჩემი მოძღვარი, ქართული მეცნიერული პედიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მარიამ უგრელიძე, ან საუკეთესო მკურნალი და მეცნიერი მარიამ ბოკერია. მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. ამჟამად კი ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან პროფესორები მ. გელოვანი, ფ. შოთაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები: ე. გერი, ქ. გველესიანი, თ. გარსევანიშვილი და სხვები. მთელ კავშირში არის ცნობილი თბილისის ერთ-ერთი ბავშვთა პოლიკლინიკა, რომელსაც ექიმი ლ. ჯანჯღავა ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ, ჩამოთვლა აქ უნდა შევწყვიტო. აბა როგორ ვახსენო ყველა იმათი სახელი, ვინც თავდადებით ემსახურება იმ დიდ საქმეს, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა რომ ჰქვია, ვისაც ყინვა და ქარბუქი, საცალფეხო ბილიკები და აზვირთებული მდინარეები გზას ვერ ულობავენ, როცა თავიანთი უწმინდესი ვალის მოსახდელად პაწია პაციენტებთან მიისწრაფვიან!

— „საქართველოს ქალის“ რედაქცია ჯანმრთელობას და დიდიხნის სიცოცხლეს უსურვებს ყველა მათგანს.

ინტერვიუ ჩამოართვა
ნანული ბარათაშვილმა

# პიონერთა სასახლე

**ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:**

**თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.**

**ბავშვთა შემოქმედების განვითარების საქმეში აქტიური მუშაობისათვის, პიონერთა და მოსწავლეთა ინტერნაციონალურ აღზრდასა და სკოლისგარეშე მუშაობის მეთოდურ ხელმძღვანელობაში წარმატებისათვის თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.**

**ბრძანებულებას ხელს აწერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე. მოსკოვი, კრემლი, 1966 წლის 30 სექტემბერი.**

**ეს ბრძანებულება სასახლის დაარსების 30-ე წლისთავზე გამოქვეყნდა.**

**ამრიგად, სასახლის 674 წრეში გაერთიანებულ თითოეულ მოსწავლეს, პიონერს, თავისუფლად შეუძლია თქვას:**

**ჩვენ შრომის წითელი დროშის ორდენის კავალრები ვართ!**

**ამ წითელდროშოვანებს შეუძლიათ ბევრი რამ უპატაკონ 60 წლის საბჭოთა სამშობლოს!**

**უპირველეს ყოვლისა, გამოთქვან თავიანთი დიდი მადლობა, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ 1941 წლის 2 მაისს ასეთი დიდებული სასახლე მიუძღვნა პატარებს!**

**მათ შეუძლიათ უპატაკონ ქვეყანას:**

**ბავშვთა აღზრდის დიდ საქმეს ემსახურებიან განყოფილების გამგეები, სასწავლო ნაწილის გამგეები, მეთოდისტები, წრის ხელმძღვანელი მასწავლებლები, რომელთა ვალია კომუნისტური აღზრდის ფორმები შეუხამონ სწავლას, აღგვიზარდონ და მოგვცენ ყველაფერი, რაც საბჭოთა საზოგადოების წევრისთვის არის საჭირო: შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, კოლექტივიზმის გრძნობა, ნებისყოფის სიმტკიცე, სიძნელეთა გადალახვის უნარი.**

**ჩვენ ცოდნისმოყვარენი ვართ.**

**ჩვენ გაერთიანებული ვართ განყოფილებებში, რომლებსაც ჰქვია: ჰუმანიტარული. (79 წრე), მეთოდური. (31 წრე), ესთეტიკური აღზრდისა (207 წრე), სპორტული (54 წრე), მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმისა (57 წრე), მეცნიერებისა და ტექნიკისა,— (აქ შედის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ავიომოდელისტთა, გემთსამოდელო და სხვა წრეები!)**

**ჩვენ ამ წრეებში გვაქვს საკვლევი მუშაობის ცენტრები!**

**და რადგან ჩვენს სასახლეში ძირითადად კლასგარეშე მუშაობაა გაჩაღებული, აქ ჩვენ ვიღრმავებთ ცოდნას, ვიკმაყოფილებთ ინტერესს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩვენ ლენინელები ვართ!

ხშირად შევდივართ სასახლის ყველაზე ლამაზ დარბაზში — ლენინის დარბაზში, მოწიწებით შევყურებთ, ვეცნობით პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, მასალებს, და ფიცს ვდებთ, რომ ისე ვისწავლით და ვიცხოვრებთ, როგორც დიდი ლენინი მიგვითითებდა!

ჩვენ მომავლის არმია ვართ! აქედანვე ვიცით, რომ მომავალი კომუნისტები ვართ: მართალნი, შრომისმოყვარენი, მშობელი ქვეყნისათვის თავდადებულნი.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!

ჩვენი სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში 5 სექცია მუშაობს. კლუბის დევიზია: „მეგობრობა მშვიდობის ხიდია“.

ჩვენ მომავლის სწავლულნი ვართ — აქ, ჩვენს სასახლეში ტარდება სწორედ მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ეწყობა მრავალი კონკურსი, შეკრება და ტრადიციული ზეიმები.

ჩვენ გვიყვარს მშვენიერება! ამ მშვენიერების დასაუფლებლად იღვწის სასახლის ესთეტიკური აღზრდის განყოფილება. გვაქვს: ქართული დრამატული პიონერული თეატრი, რუსული დრამატული პიონერული თეატრი, მინიატურების თეატრი, მხატ-





დ. იაკობაშვილის ფოტოები

ვრული კითხვის კაბინეტი. კინოკაბინეტი. თოჯინების თეატრი. ფერწერისა და ქანდაკების კაბინეტი. საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტი. პიონერული გუნდი. ოქტომბრელთა გუნდი.

ბიჭუნების ვოკალური ანსამბლი „მირანგულა“.

ხალხურ საკრავთა ორკესტრი „საუნჯე“.

ვოკალური ანსამბლი „მზიური“.

ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „გორდა“.

საბალეტო და სამეჯლისო ცეკვების ჯგუფები, ანსამბლები.

ჩვენ გვყვანან ნორჩი პოეტები, პროზაიკოსები; გვაქვს საკუთარი გაზეთი „გაზაფხული“, გვაქვს პიონერული სტამბა.

აქ იზრდებიან პიონერული ინსტრუქტორები.

როგორც ხშირად ამბობენ: ჩვენი სასახლე ტალანტის, მიდრეკილების, მისწრაფების კერაა! ჩვენს შორის გამოვლინდა მრავალი. ვინაც ასახელა ჩვენი ვრცელი სამშობლო, ჩვენი საბჭოთა საქართველო: აქ იწრთობოდა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში — ნონა გაფრინდაშვილი, აქვე გაიზარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში — ნანა ალექსანდრია. აქ მიიღო პირველი წრთობა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკე გოგონამ — მაია ჩიბურდანიძემ. სასახლე ამაყობს თავისი აღზრდილებით — მწერლებით, მსახიობებით, რეჟისორებით, ჩვენი სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შესანიშნავი მოღვაწენით.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი სასახლე, ჩვენი კერა მშობელი, ვამაყობთ მისით და ჩვენ, უფროსებთან, პედაგოგ-აღმზრდელებთან ერთად ვამბობთ: „სასახლეს თავისი განუმეორებელი რიტმი აქვს, აქ წყნარად მოსიარულეს თუ გაჩერებულს ვერავის ნახავთ. ცხოვრების ამ რიტმს ალბათ ბავშვები ჰქმნიან. დილიდან გვიან საღამომდე ფუტკრების მოზუზუნე სკასა ჰგავს იგი. დავაუკაცებულებს ისტუმრებს, ახალბედებს ღიმილით ხვდება და ცოცხლობს მარად უბერებელი სიხარულისა და ბედნიერების სასახლე!“

ჩვენი მარშია „ლენინის გზით, ოქტომბრის გზით“.

ჩვენში მთელი ხმით მეფობს დევიზი: „მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს“.

ეს გადაძახილი სამეტაპიანია და ეხმაურება დიდ თარიღს — ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავს!

და, როდესაც სამშობლო საიუბილეო სალუტით მიმართავს ჩვენს პიონერულ არმიას:

მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს!

ჩვენ, თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შრომის წითელი დროშის ორდენოსნები მხნედ ვუპასუხებთ:

— არის, სამშობლოვ!

ნაზი კილასონია



მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი

ფოტო ვ. გენგიურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდების ავტორია ია ხხირტლაძე

# სსრ კავშირი უცხოელთა თვალით

## ჰოლანდ როგბერტსი,

ამერიკა-რუსეთის ინსტიტუტის
პრეზიდენტი
(კალიფორნია)

ჩვენს ბობოქარ ხანაში ამერიკელი ქალები დიდი გულისყურით ადევნებენ თვალს მსოფლიო სარბიელზე მიმდინარე ამბებს. მათ იციან — ყველაფერს, რაც ამა თუ იმ ქვეყანაში ხდება, მნიშვნელობა აქვს მათთვისაც და ქვეყნის მომავლისთვისაც. მათ სულ უფრო მეტად აინტერესებთ საბჭოთა კავშირი. ამას მოწმობს წერილები, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტში მოდის. ნება მიბოძეთ თქვენს მკითხველებს გავაცნო ამ წერილის ნაწყვეტები. ყოველი წერილი ადასტურებს, რომ ჩემს თანამემამულე ქალებს სულ უფრო მეტი რამ სურთ იცოდნენ საბჭოების შესახებ.

## ვივიენ ჰოლინანი:

... მე საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის ძველი მეგობარი გახლავართ. „ცივ“ 50-იან წლებში უგუნურობა და სახიფათოც კი იყო ამის თქმა.

პირველად სსრ კავშირს 1958 წელს ვეწვიე. დავბრუნდი შინ და ვიგრძენი, რომ მომინდა ჩემი შთაბეჭდილებები და შეძენილი ცოდნა სხვებისათვის გამეზიარებინა. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ სურდა ჩემი მოსმენა. ეტყობა, ჩემი შორსმჭვრეტელობა დამეხმარა, თუმცა აშკარად კი აცოფებდა ჩემს მეზობლებს.

მერე კიდევ ორჯერ გახლდით სსრ კავშირში და ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ სოციალიზმი მუშაობს და მოქმედებს. დროება იცვლება, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში მატულობს ინტერესი საბჭოთა საზოგადოებისადმი. ახლა საჯაროდ შეიძლება ლაპარაკი საბჭოთა მიღწევებზე. და, წარმოიდგინეთ, გისმენენ კიდეც.

მთელ მსოფლიოში ყველამ — ქალმაც და კაცმაც შეიგნო — მშვიდობიანად რომ ვიცხოვროთ, უნდა გვესმოდეს და ვცნობდეთ ერთმანეთს, ვცნობდეთ სხვა ქვეყნების მართვის სტრუქტურას.

## სუზანა ბინ სტაფორდი:

... ამერიკელი ქალები ახლა უფრო თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრებს — დღეს მათ სურთ თავიანთი უნარი მარტო ოჯახში კი არა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოიჩინონ. ისინი ცდილობენ ერთმანეთს შეუხამონ მოღვაწეობა და ოჯახური საქმიანობა და გულმოდგინედ ეძებენ მისაბაძ ნიმუშს სხვა ქვეყნებში. ამერიკელი ქალები პატივისცემითა და აღტაცებით ადევნებენ თვალს თავიანთი თანამედროვე საბჭოთა ქალების წარმატებებს.

... ალბათ, ნებისმიერ ქვეყანაში მომუშავე დედისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვების მოვლა-აღზრდის ცენტრები. საბჭოთა კავშირს, უეჭველია, სკოლამდელ დაწესებულებათა ყველაზე ეფექტიანი და განვითარებული ქსელი აქვს მსოფლიოში. წიგნის მაღაზიები იღებენ მრავალ შეკვეთას საბავშვო ბაგა-ბაღების მუშაობის ამსახველ ლიტერატურაზე. ამერიკა-რუსეთის ინსტიტუტი ვერ ასწრებს ამ თემაზე საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემას, იმდენად დიდია მათზე მოთხოვნა.

... მე ვმონაწილეობდი ამერიკა-საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა მეოთხე ყოველწლიურ შეხვედრაში, ჩიკაგოში რომ გაიმართა. ეს იყო საუბარი ქალის როლზე თანამედროვე საზოგადოებაში და იმაზე, თუ როგორ გაზარდოს მომუშავე დედამ ბავშვი. საბჭოთა დელეგატებმა გვიამბეს, თუ რა წარმატებით წყდება ეს პრობლემა მათს ქვეყანაში — სახელმწიფოსი და მშობელთა საერთო ძალებით.

## ჰელენ რენდ მილერი:

... ის ახალგაზრდა ამერიკელები, რომლებსაც მე ვიცნობ, დღენიადაგ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი გაიგონ საბჭოთა კავშირის შესახებ. დღეს განუხრელად იზრდება იმ სკოლებისა და კოლეჯების რიცხვი, სადაც რუსულ ენას სწავლობენ. ოცდაათი წლის წინათ საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოები სრულიადაც არ იხსენებდნენ პეტრე პირველის შემდეგდროინდელ რუსეთს. ახლა საბჭოთა კავშირზე ისევე წერენ, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაზე, ხოლო ახლახან გამოცემულ უილიამ მანდელის წიგნს — „საბჭოთა ქალებს“ — აღტაცებით შეხვდნენ კრიტიკოსებიც და მკითხველებიც.

... დღეს ამერიკელი სპორტის მოყვარულები ენთუზიაზმით ლაპარაკობენ საბჭოთა ათლეტებისა და მოსკოვის მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობაზე. საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენელთა გასტროლები მუდამ წარმატებით იმართება ჩვენში. დიდი თეატრის საბალეტო დასის ამასწინანდელი გამოსვლების დროს დარბაზში ერთ ცარიელ სავარძელსაც ვერ ნახავდით — სრული ანშლაგი იყო!

## იზაბელა მ. კერნი:

... საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მშვიდობის ბურჯია, უკანასკნელი ორმოცი წელი სულ უფრო მეტად მარწმუნებს ამაში.

საბჭოეთი მუდამ სათავეში უდგას მშვიდობისმოყვარე ძალებს, კეთილი ნების ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან მასობრივი მოსპობის ყოველგვარი საშუალების წინააღმდეგ და საქვეყნოდ ილვწიან საყოველთაო განიარაღებისათვის. იგი მშვიდობის საქმეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში იცავს და განუხრელად ილაშქრებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

მე სამაგალითოდ მიმაჩნია საბჭოთა კავშირი ქალთა ემანსიპაციისა და ეროვნულ-რესპუბლიკათა ხალხების აყვავებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის საქმეში.

## ელის რიჩარდი:

... სტანფორდის უნივერსიტეტში ამას წინათ გამართული კონფერენცია, რომელიც რუსეთის ქალთა ცხოვრებას მიეძღვნა, მოწმობს, თუ რაოდენ მატულობს ინტერესი საბჭოთა სინამდვილის ამ ასპექტისადმი. სტუდენტები ბევრ სასარგებლოს პოულობენ საბჭოთა ქალებისადმი მიძღვნილ ფილმში, რომელიც ჩვენ გადავიღეთ.

დარწმუნებული ვარ, მილიონობით ამერიკელი აღტაცებული იყო, როცა ამერიკელმა ასტრონავტებმა და საბჭოთა კოსმონავტებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს კოსმოსში.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲔᲟᲐᲕᲐᲡ ᲞᲐᲜᲝ „ᲚᲔᲜᲘᲜᲘ“; ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲗᲐᲛᲐᲠ ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ — ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲖᲔ.


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ᲑᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (მხატ. რედაქტორი), თ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 10/X-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-77 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 123 000; შეკვ. 3044 უე 00847 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გამარჯვება" — მოქანდაკე ვ. თოფურიძე.

# მრისხანე დღეების მოსაგონარი...



ზოია რუხაძე



თინა იოსებიძე

ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა
ქალი — მებრძოლი,
ქალი დედა, ქალი — ლეგენდა...

მ. ბარათაშვილი.

ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



